

სპორტის უნივერსიტეტის
კვლევითი საქმიანობის
წახალისების, მხარდაჭერისა
და დაფინანსების წესი



სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის კვლევითი საქმიანობის წახალისების, მხარდაჭერისა და დაფინანსების წესი

შესავალი

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში (შემდეგში „სპორტუნი“) კვლევითი საქმიანობის განვითარება და ხელშეწყობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია. სპორტუნი მიზნად ისახავს სამეცნიერო-კვლევითი აქტივობის ხარისხის გაუმჯობესებას, აფილირებული აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის **წახალისებას და მხარდაჭერას**; ამასთან, ზრუნავს სტუდენტების კვლევითი უნარების განვითარებაზე.

სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობისა და განვითარების მიზნით, შექმნილია სამეცნიერო-კვლევითი სამსახური. ამასთან, კვლევის მხარდაჭერას უზრუნველყოფს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

კვლევების განხორციელების მხარდაჭერის მიზნით, სპორტუნი, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მეშვეობით:

- ორგანიზებას უწევს კვლევით აქტივობებს (კონფერენციებს, სემინარებს და სხვა.);
- აფინანსებს უნივერსიტეტის ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენციის მასალების გამოცემას;
- შეიმუშავებს უნივერსიტეტის საგრანტო დაფინანსების პროცედურებსა და წესს;
- აფინანსებს სხვადასხვა სახის კვლევით აქტივობას;
- აფასებს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის კვლევით საქმიანობას;
- უზრუნველყოფს აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვას, შესაბამისი მექანიზმების შემუშავებით;
- ახორციელებს აკადემიური პერსონალის მხარდაჭერას - პერსონალისათვის რესპუბლიკური და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების შესახებ ინფორმაციის გაცნობას;
- თანამშრომლობს ეკონომიკურ აგენტებთან;
- ხელს უწყობს კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციას;
- ამყარებს ურთიერთობას ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან;
- უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საერთაშორისო საბიბლიოთეკო ქსელებში ჩართულობასა და აკადემიური პერსონალის შესაბამისი საბიბლიოთეკო რესურსის ხელმისაწვდომობას;
- ზრუნავს მისი სახელით გამოქვეყნებული კვლევების/გამოცემების რეიტინგისა და სანდოობის ამაღლებაზე.

1. კვლევითი საქმიანობის წახალისება

აფილირებული აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების წახალისება

- აფილირებული აკადემიური პერსონალის მიერ, საერთაშორისო სამეცნიერო მონაცემთა ბაზებში შემავალ (Scopus, Ebsco, Elsevier და ა.შ.) რომელიმე თემატურ ჟურნალში გამოქვეყნებულ ყოველ სტატიას, სტატიის პირველი ავტორი მიიღებს ერთჯერად თანხას, პრემიის სახით 150 ლარის ოდენობით;
შენიშვნა: ამ გზით ფულადი პრემია ერთი და იმავე პირმა შეიძლება მიიღოს წელიწადში მხოლოდ ორჯერ. სტატიის თემატიკა უნდა შეესაბამებოდეს მოცემული აკადემიური პერსონალის მიერ წაკითხული სალექციო კურსის თემატიკას.
- უნივერსიტეტის საიტზე, მეცნიერების განაყოფში წარმოდგენილია იმ აკადემიური პერსონალის შესახებ ინფორმაცია, რომელთა სტატიებსაც მაღალი სამეცნიერო ღირებულება გააჩნიათ და იძებნებიან Scopus-ის ბაზაში;
- საუნივერსიტეტო კონფერენციაზე მონაწილეობის შემთხვევაში, აფილირებულ აკადემიურ პერსონალს გადაეცემა კონფერენციაზე მონაწილეობის დამადასტურებელი სერტიფიკატები და სამეცნიერო შრომების კრებული. მასალები იტვირთება საიტზე.
- აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის წახალისების მიზნით, გამოიყენება ასევე:
 - ოფიციალური მადლობის გამოცხადება;
 - უნივერსიტეტის საიტსა და ფეისბუქ-გვერდზე ქვეყნდება იმ პირების შესახებ მისალოცი ინფორმაცია, რომლებიც საერთაშორისო კონფერენციაში მომხსენებლის სტატუსით მიიღებენ მონაწილეობას;
 - სერტიფიკატის გადაცემა სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში შეტანილი წვლილისთვის;
 - ფულადი პრემია და წახალისების სხვა მატერიალური ფორმები.
- უნივერსიტეტი აფილირებულ პერსონალს ბიუჯეტიდან ასევე უფინანსებს:
 - საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობას;
 - წიგნის გამოცემას;
 - სტატიის გამოქვეყნების ხარჯებს და სხვა.

სტუდენტების სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების წახალისება

- საუნივერსიტეტო კონფერენციაზე მონაწილეობის შემთხვევაში, სტუდენტი მიიღებს ერთჯერად თანხას, 100 ლარის ოდენობით., უნივერსიტეტთანშორისო ან რესპუბლიკურ კონფერენციაზე მონაწილეობის შემთხვევაში კი ისინი მიიღებენ თანხას 150 ლარის ოდენობით.
შენიშვნა: საუნივერსიტეტო კონფერენციაზე გამოსვლის უფლება ეძლევა მხოლოდ იმ სტუდენტს, რომელიც მანამდე გამართულ საფაკულტეტო კონფერენციაზე მოხსენებით გამოვა. საუნივერსიტეტო კონფერენციაზე ფაკულტეტებიდან ბაკალავრიატის საფეხურის 4-4 სტუდენტი გამოდის, რომლებიც საუკეთესონი იყვნენ საფაკულტეტო კონფერენციებზე. ასევე, სამი სამაგისტრო პროგრამიდან თითო მაგისტრანტი.

- სტუდენტებს, საუნივერსიტეტო ან უნივერსიტეტთაშორისო/რესპუბლიკურ კონფერენციაზე მონაწილეობის შემთხვევაში, ზემოაღნიშნული თანხების გარდა, გადაეცემათ კონფერენციაში მონაწილეობის დამადასტურებელი სერტიფიკატი; კონფერენციის მასალები კი იტვირთება საიტზე.

აღნიშნული აქტივობებისთვის საჭირო თანხა წინასწარ არის გათვალისწინებული სპორტუნის ბიუჯეტში.

2. კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერა

კვლევითი საქმიანობის მხარდამჭერი მექანიზმები

სამეცნიერო კვლევის მხარდამჭერი მექანიზმები უნივერსიტეტში მოიცავს კვლევითი საქმიანობის მხარდამჭერ სტრუქტურულ ერთეულებს, კვლევითი საქმიანობის დაფინანსებასა და წახალისებას, კვლევითი საქმიანობის შეფასებასა და მისი ხარისხის განვითარებაზე ზრუნვას.

კვლევითი საქმიანობის მხარდამჭერი მექანიზმებია:

- კვლევისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობა;
- უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა და სტუდენტებისათვის, საერთაშორისო სამეცნიერო ბაზების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- კვლევის შედეგების ინტერნაციონალიზაციის მიზნით, საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობა;
- კვლევის ინტერნაციონალიზაციის მიზნით, უცხოეთის უნივერსიტეტებთან და კვლევით ცენტრებთან ურთიერთობის გაღრმავება;
- საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში, კვლევის შედეგების გამოქვეყნებისთვის ფინანსური ხელშეწყობა;
- კვლევით გრანტებში მონაწილეობის ხელშეწყობა;
- საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების, გრანტების და ა.შ. შესახებ ინფორმაციის მიწოდება აკადემიური პერსონალისა და სტუდენტებისათვის.

კვლევითი საქმიანობის მხარდამჭერი სტრუქტურული ერთეულები

სპორტუნის კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერის მიზნით, შექმნილია სამეცნიერო-კვლევითი სამსახური, რომლის ძირითად ფუნქციას წარმოადგენს უნივერსიტეტის პერსონალის მხარდაჭერა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისას; საგრანტო პროექტების მომზადების, წარდგენის და განხორციელების ხელშეწყობა; ინფორმაციის უწყვეტი მიწოდება კონფერენციებისა და სხვა კვლევითი აქტივობების შესახებ; ასევე სამეცნიერო კვლევის მხარდაჭერაზე მიმართული საქმიანობის შეფასება. საინფორმაციო შეხვედრები იმართება ასევე სპორტუნის მაგისტრანტების კვლევით აქტივობებში ჩართვისა და მათი კვლევითი უნარების განვითარების მიზნით.

გარდა სამეცნიერო-კვლევითი სამსახურისა, უნივერსიტეტში კვლევითი საქმიანობის განხორციელებას მხარს უჭერს უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, რომელიც უზრუნველყოფს კვლევითი საქმიანობის განხორციელებისთვის აუცილებელ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა თანამედროვე სამეცნიერო მიღწევების შესაბამისად, უზრუნველყოფს ბეჭდური და ელექტრონული წიგნადი ფონდისა და სამეცნიერო ჟურნალების ხელმისაწვდომობას.

უნივერსიტეტის საფინანსო და შესყიდვების დეპარტამენტი ეხმარება უნივერსიტეტის პერსონალსა და სტუდენტებს, საგრანტო პროექტის ბიუჯეტის შედგენასა და მის მართვაში.

უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური მხარს უჭერს კვლევითი საქმიანობის განხორციელებას, საზღვარგარეთ პარტნიორების მოძიებისა და მათთან კომუნიკაციის მხარდაჭერის გზით.

3. კვლევითი საქმიანობის დაფინანსება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე დოკუმენტი განსაზღვრავს უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დაფინანსებასთან დაკავშირებულ პროცედურებს, ასევე ადგენს დასაფინანსებელი აქტივობების შეფასების კრიტერიუმებს.
2. წესი მიზნად ისახავს, უზრუნველყოს უნივერსიტეტში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დაფინანსების გამჭვირვალობა, სამართლიანობა და ეფექტიანობა და ხელი შეუწყოს სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების წახალისებას და სამეცნიერო კვლევითი პროდუქტის ხარისხის ზრდას.

მუხლი 2. დაფინანსების სახეები და ოდენობა

1. უნივერსიტეტის რესურსით დაფინანსებას ექვემდებარება უნივერსიტეტის აფილირებული პერსონალის სამეცნიერო აქტივობები ან/და სამეცნიერო-კვლევითი პროექტები.
2. მაგისტრანტთა კვლევით პროექტებში ჩართულობის წასახალისებლად, უნივერსიტეტი ასევე აფინანსებს მაგისტრანტთა კვლევით აქტივობებსა და პროექტებს, უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის ხელმძღვანელობით ან/და ჩართულობით და მათი მხრიდან მაგისტრანტთა კვლევითი აქტივობის/პროექტის დაფინანსების საჭიროების დასაბუთებით.
3. უნივერსიტეტის ბიუჯეტში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერის მიზნით ყოველწლიურად გამოიყოფა ფინანსური რესურსები, რომლის ოდენობა არ უნდა იყოს საერთო ბიუჯეტის 3%-ზე ნაკლები; ამასთან, უნივერსიტეტი იღებს ვალდებულებას, ეს თანხა იყოს შენარჩუნებული ან გაზრდილი ყოველწლიურად.
4. უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან კვლევითი საქმიანობის დაფინანსების გამოყენება შესაძლებელია კვლევითი პროექტის როგორც სრულად, ასევე თანადაფინანსებისთვის.
5. უნივერსიტეტის მხრიდან დაფინანსებას ექვემდებარება აფილირებული აკადემიური პერსონალის შემდეგი კვლევითი აქტივობები:

5.1. სამეცნიერო-კვლევითი გრანტები;

- შიდა საგრანტო კონკურსი;

- ადგილობრივ/უცხოურ კვლევით ცენტრთან/ორგანიზაციასთან თანამშრომლობით განხორციელებული ერთობლივი კვლევით პროექტი.
- 5.2. კვლევის შედეგების გაზიარება;**
- სტატიის გამოქვეყნება ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო რეფერირებად ჟურნალში;
 - საერთაშორისო ან/და ადგილობრივ კონფერენციაში მოხსენების გაკეთება ან სხვა სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობის მიღება;
- 5.3. უნივერსიტეტში კონფერენციის ორგანიზება;**
- 5.4. სამეცნიერო ნაშრომის (წიგნი, კრებული და ა.შ.) პუბლიკაცია;**
- 5.5. პროფილური წიგნის თარგმანი.**

მუხლი 3. უნივერსიტეტის შიდა საგრანტო დაფინანსება

1. უნივერსიტეტში ყოველწლიურად გამოიყოფა ფინანსური რესურსი, შიდა საგრანტო დაფინანსების მიზნით.
2. საუნივერსიტეტო სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის საგრანტო დაფინანსება არის უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი კვლევითი ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხა, რომელიც გადაეცემა უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს, მათი სამეცნიერო კვლევის ხელშეწყობისთვის, კვლევაში ჩართული პირების სამუშაოს ანაზღაურებისთვის, კვლევისთვის აუცილებელი რესურსების შეძენისა და სამეცნიერო მივლინებებისათვის.
3. შიდა სამეცნიერო-კვლევითი გრანტი გაიცემა მხოლოდ კონკურსის წესით, წინამდებარე დოკუმენტში გაწერილი რეგულაციების შესაბამისად.
4. საგრანტო კონკურსის პრიორიტეტებს და მის თემატიკას ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.
5. უნივერსიტეტის შიდა სამეცნიერო-საგრანტო კონკურსში გრანტის წარდგენა (რექტორის სახელზე განცხადების დაწერა) შეუძლია მხოლოდ უნივერსიტეტის აფილირებულ აკადემიურ პერსონალს. გრანტში მონაწილეობის უფლება აქვს უნივერსიტეტის აფილირებულ აკადემიურ პერსონალს, უნივერსიტეტის მაგისტრანტს, უნივერსიტეტის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, ადგილობრივ ან მოწვეულ მეცნიერ-თანამშრომელს. შიდა საგრანტო კონკურსში განაცხადი განიხილება, თუ მასში ჩართული პირების არანაკლებ 60% იქნება სპორტის უნივერსიტეტის აფილირებული აკადემიური პერსონალი.
6. უნივერსიტეტი ახდენს აფილირებული აკადემიური პერსონალის ინდივიდუალური ან ჯგუფური კვლევითი პროექტების თანადაფინანსებას, რომელთაც მოპოვებული აქვთ გრანტი გარე სამეცნიერო ფონდიდან.
7. ერთობლივ სამეცნიერო-საგრანტო კონკურსში პარტნიორის მონაწილეობა შეიძლება წარმოდგენილი იყოს მატერიალური რესურსით მონაწილეობის მხრივ.
8. უნივერსიტეტი განსაზღვრავს საგრანტო პროექტის წარდგენის წესს, ასევე საგრანტო განაცხადის შეფასების კრიტერიუმებსა და დაფინანსების პირობებს, რომელიც შესაძლოა დამტკიცდეს და გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის საიტზე, საგრანტო კონკურსის გამოცხადებამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე.
9. წარდგენილ საგრანტო პროექტებს განიხილავს საგრანტო კომისია.

10. პროექტების მონიტორინგს ახორციელებს უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევით სამსახური.

მუხლი 4. საუნივერსიტეტო კონფერენციის დაფინანსება

1. უნივერსიტეტი რეგულარულად აწყოებს სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებს (როგორც პროფესორ-მასწავლებელთა, ისე სტუდენტების), სამეცნიერო-კვლევითი სამსახურის კოორდინაციით. აღნიშნული სამსახური მისთვის გამოყოფილი ბიუჯეტის ფარგლებში ადგენს კონფერენციის ხარჯთაღრიცხვას და წარუდგენს აკადემიურ საბჭოს.

მუხლი 5. გარე სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობის მიღება

1. კონფერენციაზე მონაწილეობისთვის დაფინანსების მოპოვება შეუძლია უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს. უპირატესობა ენიჭება იმ აკადემიურ პერსონალს, რომელიც მიწვეულია კონფერენციაზე მომხსენებლად და ასევე იმ მაგისტრანტს, რომლის სამაგისტრო ნაშრომის თემატიკა შეესაბამება კონფერენციის თემატიკას.

მუხლი 6. პუბლიკაციის დაფინანსება

1. უნივერსიტეტის აფილირებული აკადემიური პერსონალი, რომელიც კვლევას ახორციელებს საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სახელით, უფლებამოსილია, წელიწადში ერთხელ მიიღოს დაფინანსება ადგილობრივ ან საერთაშორისო რეფერირებად სამეცნიერო ჟურნალში, სტატიის გამოქვეყნების მიზნით.
2. უნივერსიტეტის აფილირებულ აკადემიურ პერსონალს ასევე აქვს უფლება, მოითხოვოს დაფინანსება სხვა სახის სამეცნიერო ნაშრომის პუბლიკაციასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების მიზნით (წიგნი, თარგმანი, მონოგრაფია და სხვა.). უპირატესობა მიენიჭება ნაშრომს, რომლის ინტეგრირებაც მეტად არის შესაძლებელი სასწავლო პროცესში.

მუხლი 7. განაცხადის წარდგენა

1. სამეცნიერო-კვლევითი აქტივობის დაფინანსების მსურველი პირი წერილობით წარადგენს განაცხადს რექტორის სახელზე.
2. უნივერსიტეტის შიდა საგრანტო კონკურსის შემთხვევაში, საგრანტო პირობები, ისევე როგორც საგრანტო განაცხადის წარდგენის ვადა ცხადდება საგრანტო კონკურსის გამოცხადებამდე ერთი თვით ადრე. კონკურსანტი დადგენილი წესითა და დადგენილ ვადებში წარადგენს საგრანტო განაცხადს.
3. საგრანტო კონკურსის ადმინისტრირებას, ისევე როგორც მონაწილეთა ინფორმაციულ მხარდაჭერას, ახორციელებს უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი სამსახური.

მუხლი 8. განაცხადის განხილვა და დაფინანსება

1. სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების (კონფერენციაში მონაწილეობის მიღება, სტატიის გამოქვეყნება და სხვა.) დაფინანსების მიზანშეწონილობას რექტორის ჩართულობით განიხილავს აკადემიური საბჭო. დადებითად შეფასებული სამეცნიერო-კვლევითი აქტივობის შესახებ, ინფორმაცია შემდგომი ქმედებისათვის მიეწოდება საფინანსო და შესყიდვების დეპარტამენტს;

2. სამეცნიერო-კვლევითი საგრანტო განაცხადების განხილვის მიზნით, რექტორის ბრძანებით იქმნება საგრანტო კომისია;
 - 2.1. საგრანტო განაცხადის შეფასების საკონკურსო კომისია შედგება არანაკლებ 3 წევრისგან.
 - 2.2. საგრანტო განაცხადის შეფასების საკონკურსო კომისიის წევრი შეიძლება იყოს:**
 - უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი;
 - სამეცნიერო-კვლევითი სამსახურის წარმომადგენელი;
 - მოწვეული პირი, რომელიც შესაბამისი სფეროს სპეციალისტია.
 - 2.3. საგრანტო განაცხადის შეფასების კომისიის შერჩევის კრიტერიუმები:**
 - დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
 - კვლევითი საქმიანობის გამოცდილება შესაბამის სფეროში;
 - პუბლიკაციები სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შესაბამის სფეროში.
 - 2.4. კომისიის თითოეული წევრი დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად დამოუკიდებლად აფასებს საგრანტო განაცხადს, რის საფუძველზეც მზადდება საბოლოო შემაჯამებელი დასკვნა; დასკვნას თან ერთვის კომისიის წევრების ინდივიდუალური შეფასებებიც.
 - 2.5. საგრანტო განაცხადის შეფასების კომისია იღებს ერთ-ერთ გადაწყვეტილებას:
 - კვლევითი პროექტის სრულად დაფინანსების შესახებ;
 - კვლევითი პროექტის ნაწილობრივ დაფინანსების შესახებ;
 - კვლევითი პროექტის დაფინანსებაზე უარის თქმის შესახებ.
 - 2.6. კომისია უფლებამოსილია, გამარჯვებული პროექტის ავტორს, საჭიროების შემთხვევაში განუსაზღვროს ვადა, ეთიკის კომიტეტის დასკვნის წარმოდგენის მიზნით.
3. დაფინანსებული განაცხადების რაოდენობა დამოკიდებულია გამოყოფილ ბიუჯეტზე, პროექტების რაოდენობასა და აქტუალობაზე.
4. თანაბარი შეფასების მქონე განაცხადების შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება დაბალი ბიუჯეტის მქონე განაცხადს.
5. მაგისტრანტთა კვლევით აქტივობებში ჩართვის წახალისების მიზნით, უპირატესობა ენიჭება პროექტებს, მაგისტრანტთა ჩართულობით.
6. კანდიდატი უფლებამოსილია, გაეცნოს საკუთარ შეფასებას.
7. ინფორმაცია დაფინანსებული პროექტების/აქტივობების შესახებ საჯაროა და უნდა გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში.
8. **კვლევითი პროექტის დაფინანსება და ხელშეკრულების გაფორმება**
 - 8.1. კომისიის მიერ საგრანტო განაცხადის სულად ან ნაწილობრივ დაფინანსების გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, პროექტის ხელმძღვანელთან ფორმდება ხელშეკრულება;
 - 8.2. ხელშეკრულებით განისაზღვრება კვლევითი პროექტი, კვლევაში ჩართული მკვლევარი/მკვლევრები, კვლევითი პროექტის დაფინანსების ოდენობა, დაფინანსების ეტაპები და ფორმები, ანგარიშგების პირობები და ეტაპები;
 - 8.3. კვლევითი პროექტის განხორციელებას და ანგარიშგებას მონიტორინგს უწევს სამეცნიერო-კვლევითი სამსახური, რომელიც ანგარიშვალდებულია აკადემიურ საბჭოსთან და რექტორთან.
9. **ანგარიშვალდებულება**

9.1. კვლევითი პროექტის ხელმძღვანელი ვალდებულია, ხელშეკრულებით განსაზღვრული პერიოდულობით, სამეცნიერო-კვლევით სამსახურს წარუდგინოს შუალედური ანგარიშ(ებ)ი კვლევის მიმდინარეობის შესახებ. კვლევითი პროექტის მიმდინარეობის ეტაპებში ცვლილების/ვადების შეცვლის შემთხვევაში, პროექტის ხელმძღვანელი ვალდებულია, აღნიშნული შეათანხმოს სამეცნიერო-კვლევით სამსახურთან და შეიტანოს ცვლილება ხელშეკრულებაში;

9.2. კვლევითი პროექტის ხელმძღვანელი ვალდებულია, საბოლოო ანგარიში წარუდგინოს სამეცნიერო-კვლევით სამსახურს, დადგენილი ფორმის შესაბამისად, რომელიც საბოლოო ანგარიშს წარუდგენს აკადემიურ საბჭოს;

9.3. კვლევითი პროექტის დასრულების შემდეგ, კვლევითი პროექტის ხელმძღვანელი ვალდებულია, უნივერსიტეტის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, სტუდენტებს და სხვა დაინტერესებულ პირებს გააცნოს კვლევის შედეგები.

მუხლი 9. აპელაცია

1. კანდიდატს აქვს უფლება, გაასაჩივროს შეფასება მისი გაცნობიდან 3 კალენდარული დღის ვადაში.
2. კანდიდატის მიერ შეფასების გაცნობის თარიღად მიიჩნევა შეფასების შედეგების ვებ-გვერდზე გამოქვეყნების დღე.
3. კანდიდატი ვალდებულია, დაასაბუთოს მისი მოსაზრება შეფასების უსამართლობასთან დაკავშირებით, წინააღმდეგ შემთხვევაში საჩივარი არ განიხილება.
4. საჩივრის განხილვისთვის რექტორის ბრძანებით იქმნება სპეციალური კომისია, რომელიც ხელახლა აფასებს განცხადებას.
5. კომისიის მიერ საჩივრის დაკმაყოფილების შემთხვევაში, სამეცნიერო-კვლევითი სამსახური აფასებს განახლებული შეფასების პირობებში განმცხადებლის მიერ დაფინანსების მიღების შესაძლებლობას და საჭიროების შემთხვევაში, შუამდგომლობით მიმართავს რექტორს, დაფინანსების გამოყოფის შესახებ.

დანართი 1.

სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის
სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორს,
ბატონ ჯემალ ძაგანიას

სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის
სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის

აფილირებული _____

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გთხოვთ, დაარეგისტრიროთ ჩემი განაცხადი უნივერსიტეტის მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მიზნით.

პროექტის სახელწოდება: _____

(გრანტი, კონფერენციაზე მონაწილეობის/სტატიის გამოქვეყნების დაფინანსება, წიგნის გამოცემა, მთარგმნელობითი საქმიანობა, კონფერენციის ორგანიზება და ა.შ.)

პროექტის ფარგლებში მოთხოვნილი თანხის ოდენობა: _____

განცხადებაზე ხელმოწერით ვადასტურებ მონაცემების სიზუსტეს, რომ წარმოდგენილი ინფორმაცია არ შეიცავს ყალბ მონაცემებს.

ასევე თანახმა ვარ, უნივერსიტეტის მიერ გადამოწმდეს წარმოდგენილი ინფორმაცია და სიყალბის აღმოჩენის შემთხვევაში, კონკურსიდან მოიხსნას ჩემს მიერ წარმოდგენილი საგრანტო განაცხადი.

თარიღი: ____ ____ 202 ____ წ.

ხელმოწერა: _____

დანართი 2.

განაცხადის ფორმა, სამეცნიერო-კვლევითი აქტივობის დაფინანსების მოპოვების მიზნით

კვლევითი აქტივობის სახელწოდება კვლევითი აქტივობის ტიპი	გრანტი, კონფერენციაზე მონაწილეობის/სტატიის გამოქვეყნების დაფინანსება, წიგნის გამოცემა, მთარგმნელობითი საქმიანობა ¹ , კონფერენციის ორგანიზება და ა.შ.
კვლევითი აქტივობის ხანგრძლივობა	
კვლევითი აქტივობის ბიუჯეტი	
თანადაფინანსება (არსებობის შემთხვევაში)	
კვლევითი აქტივობის წარმდგენი სახელი, გვარი, წოდება (აფილირებული პროფესორი, აფილირებული ასოცირებული პროფესორი, აფილირებული ასისტენტ-პროფესორი, აფილირებული ასისტენტი ან მაგისტრანტი).	
კვლევითი აქტივობის სხვა მონაწილეები (არსებობის შემთხვევაში) (სახელი, გვარი, აკადემიური თანამდებობა/მაგისტრანტი)	
კვლევითი აქტივობის მოკლე აღწერა	
აღწერეთ პროექტის კონცეფცია, მიზანი, მნიშვნელობა, აქტუალობა, მისი ფორმატი	
შედეგების მნიშვნელობა და მისი პრაქტიკული გამოყენება უნივერსიტეტისა და ფართო საზოგადოებისათვის	
დანართები: (კვლევის ხელმძღვანელისა და ჩართული პირების რეზიუმე; ხარჯთაღრიცხვა და სხვ.)	

¹ აუცილებელია, ხარჯებში გათვალისწინებული იყოს თარგმნის უფლების მოპოვების საფასური.

1. კვლევითი განაცხადის/პროექტის შეფასების კრიტერიუმები

შემფასებლის სახელი და გვარი: _____		
№	კრიტერიუმი	შეფასება (0-5 ქულა)
1.	თემის აქტუალობა	
2.	მიზნები და ამოცანები	
3.	კვლევის მეთოდოლოგია	
4.	კვლევის მოსალოდნელი შედეგი, შედეგების გამოყენების შესაძლებლობა	
5.	საერთაშორისო და ადგილობრივი თანამშრომლობა	
6.	თემატიკის პრიორიტეტულობა უნივერსიტეტისთვის	
7.	ბიუჯეტის შესაბამისობა, კვლევის მიზნებთან და ამოცანებთან (ერთობლივი კვლევების დროს თანადაფინანსება)	
8.	სტუდენტის/მაგისტრანტების ჩართვის შესაძლებლობა	
9.	კვლევითი პროექტის ავტორის კვალიფიკაცია, რომელიც უნდა დადასტურდეს მის მიერ უკვე გამოქვეყნებული სტატიების თემატიკებთან დადარებით	
10.	მოთხოვნილი ბიუჯეტის შესაბამისობა, მიზნებსა და შედეგებთან	
საბოლოო შეფასება (მაქსიმუმ 50 ქულა)		
მინიმალური გადასალახი ზღვარია 35 ქულა.		

2. სახელმძღვანელოს გამოცემის ან თარგმანის მიზნით დაფინანსების შეფასების კრიტერიუმები

№	კრიტერიუმი	შეფასება (0-5 ქულა)
1.	წიგნის თემატური შინაარსი	
2.	წიგნში წარმოდგენილი ინფორმაციული სიახლე	
3.	წიგნში არსებული ინფორმაციის გამოყენება სასწავლო პროცესში	
საბოლოო შეფასება (მაქსიმუმ 15 ქულა)		
მინიმალური გადასალახი ზღვარია 10 ქულა.		

3. საერთაშორისო კონფერენციაზე მივლინების დაფინანსების შეფასების კრიტერიუმები

№	კრიტერიუმი	შეფასება (0-5 ქულა)
1.	თემის აქტუალობა	
2.	მიზნები და ამოცანები	
3.	მიღებული ცოდნის გამოყენების შესაძლებლობა	
4.	თემატიკის პრიორიტეტულობა	

5.	მოთხოვნილი ბიუჯეტის შესაბამისობა, მიზნებსა და შედეგებთან (მგზავრობა; ცხოვრების ხარჯი; დღიური თანხა; კონფერენციაზე რეგისტრაციის საფასური)	
საბოლოო შეფასება (მაქსიმუმ 25 ქულა) მინიმალური გადასალახი ზღვარია 18 ქულა.		

4. სამეცნიერო სტატიის რომელიმე საერთაშორისო სამეცნიერო ბაზაში შემავალ თემატურ ჟურნალში გამოცემის დაფინანსების შეფასების კრიტერიუმები

№	კრიტერიუმი	შეფასება (0-5 ქულა)
1.	თემის აქტუალობა	
2.	მიზნები და ამოცანები	
3.	მიღებული ცოდნის გამოყენების შესაძლებლობა	
4.	თემატიკის პრიორიტეტულობა	
5.	მოთხოვნილი ბიუჯეტის მიზანშეწონილობა	
საბოლოო შეფასება (მაქსიმუმ 25 ქულა) მინიმალური გადასალახი ზღვარია 18 ქულა.		